



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 101/14<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

### ფაქტები:

2013 წლის ნოემბერში, ს.გ-მ (შემდეგში *კლიენტი*) მიმართა თ. ჯ-ს (შემდეგში *ადვოკატი*) საადვოკატო მომსახურებისათვის; მათ შორის მინდობილობა გაფორმდა 2013 წლის 6 დეკემბერს. ადვოკატი ვალდებული იყო კლიენტის ინტერესები წარმოედგინა საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში, შესაბამის სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეზე, რისთვისაც ჰონორარის სახით განესაზღვრა 1 200 ლარი. კლიენტის განცხადებით, ადვოკატი არ აწვდიდა მას ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ. კლიენტის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან, ადვოკატის ტელეფონზე შემომავალი და გამავალი ზარი განხორციელებულია 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის აგვისტომდე პერიოდში, ხოლო სახლის ტელეფონიდან, 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე პერიოდში. ადვოკატმა კლიენტს შეუდგინა რამდენიმე წერილი და სამჯერ საკუთარი მანქანით მიიყვანა შეხვედრის ადგილას. ადვოკატმა კლიენტს სრულად დაუბრუნა ჰონორარის სახით მიღებული თანხა. შესაბამისად, კლიენტს ჰონორარის დაბრუნების საკითხი სადავოდ აღარ გაუხდია.

**პროცესუალური ისტორია:** ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას (*შემდეგში კომისია*) საჩივრით მიმართა კლიენტმა, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. 2015 წლის 20 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ პროფესიული ეთიკის ნორმების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

**სამართლებრივი შეფასება:** წინამდებარე შემთხვევაში კომისიის შესაფასებელია: ა) დაარღვია თუ არა ადვოკატმა კლიენტის მიმართ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (*შემდეგში აპკე*) მე-8 მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულება? ბ) შეასრულა თუ არა ადვოკატმა კეთილსინდისიერად თავისი პროფესიული ვალდებულებები? ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალების გამოყენებით და საქმის წარმოებისას კლიენტს დროულად მიაწოდოს მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე სწორი ინფორმაცია კლიენტისთვის გასაგებ ენაზე, მასთან წინასწარ შეთანხმებული წესით. ურთიერთობის დაწყებისას მხარეები ერთმანეთთან უნდა შეთანხმდნენ კომუნიკაციის იმგვარ ფორმაზე, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება და უზრუნველყოფს კლიენტის ჯეროვან და დროულ ინფორმირებას. წინამდებარე შემთხვევაში, მსგავსი შეთანხმება სახეზე არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ დაუდგენელია ადვოკატ-კლიენტს შორის არსებული კომუნიკაციის მიზნობრიობა, ხოლო თავად ადვოკატს არ წარმოუდგენია კლიენტის ინფორმირების დამადასტურებელი მტკიცებულება, ადვოკატის მხრიდან ადგილი აქვს კლიენტის არაინფორმირებულობასა და მასთან არაჯეროვან კომუნიკაციას. კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს.

<sup>1</sup> გადაწყვეტილების სრული ვერსია

იმის გათვალისწინებით, რომ ვერ დგინდება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების ზუსტი დრო, ასევე, არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მიერ შედგენილი წერილები, რომელთა შეფასებითაც კომისია დაადგენა ადვოკატის მხრიდან მომსახურების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განხორციელების საკითხს, კომისია მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის ადვოკატის მხრიდან არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფაქტი.

**დასკვნა:** კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რისთვისაც მას დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განუსაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.